განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

8.05.2018
9.05.2018

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი (შპს) |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211359448 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | **ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა** |
| განათლების საფეხური | **მაგისტრატურა** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | **ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი** |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტირებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ზარნაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | სალომე მაღუძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თავისუფალი უნივერსიტეტის, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებს და ანალიტიკოსებს/კონსულტანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ, როგორც გაიღრმავონ ბიზნეს-გადაწყვეტილებების და ბიზნესის მართვის ინსტრუმენტების თეორიული ცოდნა, უკეთესი უნარები კონტექსტის შეფასებისათვის, ასევე უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს.

"ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: მოდული 1 – 21 კრედიტი; მოდული 2 – 29 კრედიტი; მოდული 3 -30 კრედიტი; მოდული 4 – 25 კრედიტი. სადიპლომო კრედიტი - 15 კრედიტი;

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები გააგრძელებენ მუშაობას უფრო მაღალი თანრიგის/რანგის მენეჯერებად და ბიზნეს-ანალიტიკოსებად/კონსულტანტებად უკეთესი კარიერული წინსვლის პერსპექტივით. შეძლებენ პროექტების მართვასა და საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებას. კერძო სექტორში. შეძლებენ ბიზნესის წამოწყებას და მართვას როგორც პარტნიორები.

პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და გასაუბრების შედეგების შესაბამისად. აუცილებელი მოთხოვნაა სულ მცირე ორ წლიანი გამოცდილება საშუალო ან მაღალი რანგის მენეჯერის ან/და ბიზნეს-ანალიტიკოსის/კონსულტანტის პოზიციაზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

შპს თავისუფალ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 8-9 მაისს. ვიზიტის ფარგლებში დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა ყველა დაგეგმილი შეხვედრა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, (რექტორი, ხარისხის სამსახურის უფროსი, სკოლის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები), პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ადგილზე მოხდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება, გადამოწმდა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობა, ელექტრონულ ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის პროცესში გადამოწმდა სასწავლო ელექტრონული პორტალი ფუნქციონალური სერვისების მიხედვით.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებულის წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა შემდეგნაირად გამოიყურება: პირველი სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, ვინაიდან 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია, 1.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია. 1.4 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია. მეორე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ვინაიდან 2.3 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია. მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ვინაიდან 3.3 კომპონენტი ნაწილობრივ შესაბამისობაშია, ხოლო 3.4 კომპონენტები მეტწილად შესაბამისობაშია. მეოთხე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია, ვინაიდან 4.2 კომპონენტი

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## რეკომენდაციები

1. რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო კვლევის ელემენტებით;
2. რეკომენდირებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსების „ადამიანური რესურსების მართვა", „პროექტების მართვა", „მართვის საინფორმაციო სისტემები", „კორპორაციული ფინანსები", „მენეჯერული აღრიცხვა", მოდელირება Excel-ში სილაბუსები, და მოხდეს მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისგან.
3. სასურველია სადიპლომო პროექტისთვის წაყენებული მოთხოვნების სრულფასოვნად შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებების გატარება და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავება.
4. რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები.
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ბიზნესი .
6. რეკომენდირებულია სადიპლომო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო საგნების სწავლება.
7. რეკომენდირებულია სტუდენტების ჩართულობის გაზრდა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, ასევე მნიშვნელოვანია ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსების პოპულარიზაცია.
8. რეკომენდირებულია გაძლიერდეს მაგისტრანტების ჩართვა სამეცნიერო კონფერენციებში და მოხდეს გაცვლითი პროგრამების პოპულარიზაცია;
9. რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის ჩართულობის ამაღლება სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელდეს სხვადასხვა სახის პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, სამუშაო შივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, კონფერენციები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიულ და/ან სწავლების უნარის განვითარებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სასურველია, პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები.
  - სასურველია უნივერსიტეტმა პროგრამაში მიუთითოს უცხო ენის ცოდნის აუცილებლობა და დამადასტურებელ რომელ სერტიფიკატს უდიარებს კონკურსანტს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.<br>თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომ უნივერსიტეტი) მისიაა შექმნას საქართველოში სწავლის, სწავლებისა და კვლევის საუკეთესო გარემო და ეს გარემო ხელმისაწვდომი გახადოს გამორჩეული ახალგაზრდებისთვის; სტუდენტებს ჩამოუყალიბოს თავისუფალ და კრიტიკულ აზროვნებაზე დაფუძნებული ღირებულებები, რათა მათ შეძლონ სხვადასხვა გარემოში ორიენტირება და ადაპტირება, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და იმ გამოწვევებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, რომელთაც მათ თანამედროვე, სწრაფად ცვალებადი სამყარო სთავაზობს; უზრუნველყოს სწავლება და სწავლა ქართულ ენაზე, რათა ამ გზით ხელი შეუწყოს ქართული ენის განვითარებას, როგორც სამეცნიერო და საკომუნიკაციო ენა იყოს სტუდენტების ინტერესებზე და მათ შემდგომ წარმატებაზე ორიენტირებული.<br>უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია საშუალო და მაღალი რანგის მენეჯერებს და ანალიტიკოსებს/კონსულტანტებს შეუქმნას გარემო, სადაც ისინი შეძლებენ როგორც გაიღრმავონ ბიზნეს-გადაწყვეტილებების და ბიზნესის მართვის ინსტრუმენტების თეორიული ცოდნა, ასევე უპასუხონ პრაქტიკაში დასმულ ამოცანებსა და გამოწვევებს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ უნივერსიტეტის მისია;<br>○ პროგრამა;<br>○ გასაუბრება უნივერსიტეტის რექტორთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან;<br>○ უნივერსიტეტის წესდება;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://freeuni.edu.ge/ |
| **რეკომენდაციები:**<br>○ |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br>○ |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

○

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
პროგრამა შედგება 120 ECTS **კრედიტისგან, რომელიც გადანაწილებულია ოთხ მოდულზე:** 21 ECTS **კრედიტი** I მოდულის, 29 ECTS კრედიტი II მოდულის, 30 ECTS კრედიტი III მოდულის და 25 ECTS კრედიტი IV მოდულის სასწავლო კურსებია. ამასთან, სადიპლომო პროექტზე გამოყოფილია 15 ECTS კრედიტი. პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებულია არჩევითი სასწავლო კურსები.
1 ECTS **კრედიტი 28 საათია.**

**პროგრამა პრაქტიკატევადი ტიპისაა. პროგრამის ცალკეულ კომპონენტში სწავლების და შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები გამოიყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპონენტით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.**

თუმცა, საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის პირველი მუხლის „წ" ქვეპუნქტის მიხედვით მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც მოიცავს სამეცნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის; ამ განმარტებიდან გამომდინარე და ასევე სადიპლომო პროექტების შეფასების საფუძველზე, რომელიც ძირითადად ბიზნეს გეგმებით და კომპანიის შეფასებებით იყო წარმოდგენილი შეიძლება ითქვას, რომ მაგისტრატურის პროგრამა განიცდის სამეცნიერო ელემენტების ნაკლებობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები;

○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისადმი მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამა უზრუნველყოფილ იქნას სამეცნიერო კვლევის ელემენტებით;

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.
შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი.
უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიმართულების, სპეციალობის და სპეციალიზაციების ჩამონათვალში ბიზნესის ადმინისტრირება წარმოდგენილია მიმართულების სახით (კვალიფიკაციის კოდი 02). კვალიფიკაციის ფორმირების წესის მიხედვით პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის სახელწოდება მოიცავს ტერმინს – „მაგისტრი", შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვალიფიკაციის ფორმირება შესაბამისობაშია საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნებთან, თუმცა კვალიფიკაციის კოდი არც პროგრამაში და არც თვითშეფასების ანგარიშში არ არის მითითებული.

გარდა ამისა, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანება #120/ნ (2010 წლის 10 დეკემბერი) ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ ერთი და იმავე მისანიჭებელი კვალიფიკაციის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სწავლის შედეგები და მიზნები უნდა განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან შინაარსის მიხედვით და უნდა იყოს მზარდი საფეხურის გათვალისწინებით, კერძოდ ამ ბრძანების მესამე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით „უმაღლესი განათლების საფეხურები, სწავლის შედეგების მიხედვით, აღწერილია იერარქიულად. უმაღლესი განათლების ყოველი მომდევნო საფეხური გულისხმობს წინა საფეხურზე მიღებული სწავლის შედეგების საფუძველზე დამატებითი სწავლის შედეგების მიღწევას“ და კლასიფიცირებულია შესაბამის საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულების მიხედვით.

აღსანიშნავია, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ისეთი საგნები, როგორებიცაა „ადამიანური რესურსების მართვა“, „პროექტების მართვა“, „მართვის საინფორმაციო სისტემები“, „კორპორაციული ფინანსები“, (მთლიანად საგნების 22 პროცენტი), რომელთა არა მხოლოდ სახელწოდება, არამედ გარკვეული კომპონენტი (ძირითადი ლიტერატურა, თემები, სწავლის შედეგები) იმეორებს ბაკალავრიატის პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსის კომპონენტებს.

1. **კორპორაციული ფინანსები**

- სწავლის შედეგები იდენტურია (მაგალითად, ეცოდინება ფინანსური უწყისებში მოცემული ინფორმაციის იდენტიფიცირება - იდენტურია, შეეძლება გაანალიზება და მისი გამოყენება კომპანიის ღირებულების მაქსიმიზირებისთვის მიზნებისთვის - იდენტურია და ა.შ. იხ სილაბუსები);
- გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია Fundamentals of financial management, by E. Brigham 12e, Case Problems in Finance, by Kester;
- შინაარსი - იდენტურია;

2. **პროექტის მენეჯმენტი**

- სწავლის შედეგები იდენტურია (მაგალითად ბაკალავრიატი - ეცოდინება პროექტის მენეჯმენტის არსი, ტერმინოლოგია, უპირატესობები; მაგისტრატურა - ეცოდინება პროექტის მენეჯმენტის არსი, ტერმინოლოგია, უპირატესობები; დანარჩენი იხილეთ სილაბუსში);
- გამოყენებული ლიტერატურა იდენტურია: ბაკალავრიატი - Project Management – The Managerial Process– Erik W. Larson, Clifford F. Gray (მე5 გამოცემა); მაგისტრატურა - Project Management – The Managerial Process– Erik W. Larson, Clifford F. Gray (მე5 გამოცემა).
- შინაარსი იდენტურია იხ სილაბუსი;

3. **Excel-ი ბიზნესისათვის და მოდელირება Excel-ში**

- სწავლის შედეგები თითქმის იდენტურია: მაგალითად, Excel-ი ბიზნესისათვის (ბაკალავრიატი) - ეცოდინება Excel; მოდელირება Excel-ში (მაგისტრატურა) - ეცოდინება Excel); დანარჩენი იხილეთ სილაბუსში);
- გამოყენებული ლიტერატურა - Excel-ი ბიზნესისათვის - Wayne L. Winston, Microsoft Excel Data Analysis and Business Modeling, 2013-ელექტრონული წიგნი და სამუშაო ფაილები; მოდელირება Excel-ში - Wayne L. Winston "Microsoft Excel 2013: Data Analysis and Business Modeling", 2013 თუმცა აქვე დამატებული აქვს John Walkenbach "Excel® 2010 Formulas", 2010.
- შინაარსი - თითქმის იდენტურია.

4. მენეჯერული აღიცხვა

- **სწავლის შედეგები** - ბაკალავრიატი - ეცოდინება მენეჯერული აღრიცხვის საკითხები; შეეძლება სხვადასხვა ტიპის ბიზნესში წარმოქმნილ დანახარჯთა სტრუქტურაში გარკვევა; მაგისტრატურა - ეცოდინება მენეჯერული აღრიცხვის საკითხები; შეეძლება სხვადასხვა ტიპის ბიზნესში წარმოქმნილ დანახარჯთა სტრუქტურაში გარკვევა;
- **გამოყენებული ლიტერატურა** - ბაკალავრიატი - Charlez T. Horngren, Srikant M. Dater, George Foster, Cost Accounting (A Managerial Emphasis), 14-th ed. 2012. მენეჯერული აღრიცხვა, კონსპექტი თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის; 2010. მაგისტრატურა - Charlez T. Horngren, Srikant M. Dater, George Foster, Cost Accounting (A Managerial Emphasis), 14-th ed.
- შინაარსი თითქმის მსგავსია. (იხ. სილაბუსი)

პროგრამაში ერთ-ერთი სავალდებულო ასათვისებელი კომპონენტია სადიპლომო პროექტი, ვიზიტის დროს ექსპერტების თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციამ უზრუნველყო დაცული სადიპლომო პროექტების წარდგენა, რომელშიც ვლინდება ისეთი ხარვეზები როგორიცაა: წყაროების არასწორი მითითება და გამოყენებული ლიტერატურის არ ქონა, არსებული ფაქტები ყურადსაღები უნდა იყოს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირებისთვის.
აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმი, რომლის ერთი მხრივ იქნება პრევენცია პლაგიატის შემთხვევებისგან თავის დასაცავადდ მეორე მხრივ მასთან ბრძოლის საშუალება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია გადამუშავდეს სასწავლო კურსების „ადამიანური რესურსების მართვა", „პროექტების მართვა", „მართვის საინფორმაციო სისტემები", „კორპორაციული ფინანსები",

„მენეჯერული აღრიცხვა", მოდელირება Excel-ში სილაბუსები, და მოხდეს მკაფიო გამიჯვნა საბაკალავრო პროგრამის ანალოგიური სასწავლო კურსებისგან.

- სასურველია სადიპლომო პროექტისთვის წაყენებული მოთხოვნების სრულფასოვნად შესასრულებლად გარკვეული ღონისძიებების გატარება და პლაგიატის საწინააღმდეგო მექანიზმის შემუშავება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე

პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე.

სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ სწავლის შედეგები ხელს უწყობენ შესაფასებელი პროგრამის კურსდამთავრებულებს დასაქმებაში, რადგანაც ისინი ფლობენ იმ ცოდნასა და კომპეტენციებს, რაზეც დასაქმების ბაზარზე მოთხოვნაა: კომუნიკაციის, მონაცემთა პროგრამული დამუშავების და ანალიზის უნარებს. მათ აქვთ ინგლისური ენის ცოდნის მაღალი დონე; მოქნილები არიან ბაზრის სწრაფად ცვალებადი მოთხოვნების მიმართ. პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას ადასტურებს მათი დასაქმების მაჩვენებელი (83%).

აღსანიშნავია, რომ პროგრამა არის პრაქტიკატევადი და არ არის ორიენტირებული მეცნიერული კვლევის უნარების განვითარებაზე. სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენელებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ შესაფასებელი პროგრამის კურსდამთავრებულების მიზანია შრომის ბაზარზე გასვლა და არა სამეცნიერო-აკადემიურ სფეროში საქმიანობა, ან განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის

გაგრძელება. პროგრამის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს არ გამოუთქვამთ დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელების სურვილი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამა;
- სილაბუსები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია პროგრამაში გაძლიერდეს სამეცნიერო კვლევით უნარებზე ორიენტირებული აქტივობები.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

-

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

| |
|---|
| პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა პირდაპირი ჩართვა პროგრამის განვითარებაში არ ხორციელდება, პროგრამის ხელმძღვანელებს და ადმინისტრაციას მათთან მუდმივი პირდაპირი კავშირი აქვთ. ყოველ სემესტრულად ტარდება სტუდენტთა გამოკითხვა ელექტრონული ფორმით. ამასთან, სტუდენტებს აქვთ შეუზღუდავი წვდომა ადმინისტრაციასა და აკადემიურ პერსონალთან ნებისმიერი თვალსაზრისის მიწოდებისას, სასწავლო პროცესთან და პროგრამასთან დაკავშირებით. ყველა თვალსაზრისის თავმოყრა და ამოცანების გადანაწილება ხდება ადმინისტრირების პროცესში, ამიტომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული ყველა რგოლი პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფაზე კონკრეტული გადასაწყვეტი ამოცანის მიხედვით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ პროგრამა;<br>○ სილაბუსები;<br>○ გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელებთან. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| შეფასება<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | | √ | |

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა**

| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
|---|
| ბიზნესის ადმინსიტრირების საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაიშვებიან მსურველები ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და გასაუბრების შედეგების შესაბამისად. დამატებითი აუცილებელი მოთხოვნაა სულ მცირე ორ წლიანი გამოცდილება საშუალო ან მაღალი რანგის მენეჯერის ან/და ბიზნეს-ანალიტიკოსის/კონსულტანტის პოზიციაზე. პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ ასევე სამაგისტრო პროგრამაზე დაიშვებიან „Excell" ფორმატში ტესტებისა და ამოცანების ჩაბარებისას. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებისას ეს ფაქტი არ დადასტურდა.<br><br>გარდა ამისა, არც თვითშეფასების ანგარიშში, არც პროგრამაში დამატებით მოთხოვნებში არ არის მოცემული უცხო ენის ცოდნა (გამოცდის ჩაბარება ან საერთაშორისო აღიარების მქონე სერთიფიკატის წარმოდგენა). მითუმეტეს, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზეა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა;<br>○ პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი |
| **რეკომენდაციები:** |

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია უნივერსიტეტმა პროგრამაში მიუთითოს უცხო ენის ცოდნის აუცილებლობა და განისაზღვროს ენის დამადასტურებელ, რომელ სერტიფიკატს უღიარებს კონკურსანტს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- 

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლების პროცესში გამოიყენება ლექცია, სემინარი, კომპიუტერული ლაბორატორია, პრაქტიკული მეცადინეობები და სიმულაციები, ქეისის მეთოდები, სამუშაო პრაქტიკა. მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება, როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები. ესენია: საშინაო დავალებები, ტესტები, ზეპირი და წერითი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ქეისის წერითი გარჩევა, ქეისებზე დისკუსია, ანგარიშები და სხვა. ზემოთ მოცემული სწავლის მეთოდები და მათი ადეკვატური კავშირი შეფასების ფორმებთან ხელს უწყობს სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა;
- "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - http://freeuni.edu.ge/

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულია მოდულების სახით. თითოეულ მოდულში განსაზღვრულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინები, რომელიც ემსახურება დასახული მიზნების და შედეგების მიღწევას (თუ არ ჩავთვლით 1.3 კომპონენტში მოცემულ მიგნებას). მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. პირველ ეტაპზე სამაგისტრო პროგრამა იწყება საბაზისო საგნების შესწავლით (მოდული 1: ბიზნესი, ბიზნესის სამართალი, ეკონომიქსი, მოდელირება,რაოდენობრივი მეთოდები, საკუთარი თავის მართვა და ლიდერობა). მომდევნო მოდულებში ისწავლება ის საგნები, რომელიც უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის საფუძველზე მაგისტრანტის ახალი კომპეტენციების შეძენას და არსებულის განვითარებას, რაც საბოლოო ჯამში აისახება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ფორმირებაში.

ამასთან, პროგრამაში შემავალი ზოგიერთი კომპონენტის მიმართ გაგვაჩნია კონკრეტული მოსაზრებები:

1. სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში, მე-3 მოდულის სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტს" არ გააჩნია წინაპირობა, მაშინ როდესაც იგივე მოდულის სასწავლო კურსის „სტრატეგიული მარკეტინგის" წინაპირობაა სასწავლო კურსი„ ბიზნესი". გარდა ამისა, სასწავლო კურსისათვის „სტრატეგიული მენეჯმენტი" თავისი სირთულიდან გამოდინარე, რომელშიც შედის ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა თამაშების თეორია, ქსელური ეფექტები და სტრატეგია, მინიმუმ საჭიროებს სასწავლო კურსის „ბიზნესის" წინაპირობად ჩასმას.

2. სადიპლომო პროექტის მიზანია „კურსდამთავრებულმა შეძლოს პროგრამაში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, პრობლემის არსში გარკვევა, შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, კვლევისა და ანალიზის მეთოდების გამოყენება. შესაბამისად სადიპლომო პროექტის მიზანი მოითხოვს სპეციალობის სავალდებულო საგნების წინაპირობად განსაზღვრას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო პროგრამა;
- პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიურება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიურება პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სტრატეგიული მენეჯმენტის წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ბიზნესი .
- რეკომენდირებულია სადიპლომო პროექტის წინაპირობად განისაზღვროს ყველა სავალდებულო საგნების სწავლება.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

-

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

| |
|---|
| სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100 - ქულიანი სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. გარდა ამისა სტუდენტის შუალედური აქტიურობის მრავალფეროვანი მეთოდი გამოიყენება და მათი გამოყენება დამოკიდებულია სასწავლო კურსის სპეციფიკურობასა და დატვირთვაზე, რომელიც დეტალურად არის გაწერილი ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის. |
